რა შედეგებით ამთავრებს წლევანდელ წელიწადს სოფელი შემოქმედი

თემურ მარშანიშვილი

შემოქმედი – უფლის სეხნია სოფელი წელიწადის ყველა დროში თვალწარმტაცია და ბადალი არ ჰყავს საქართველოში, ბარე ერთი-ორი ვერ აჯობებს, ალბათ, მთელ მსოფლიოშიც. გამოდის, რომ შემოქმედი არა მხოლოდ სოფელი, არამედ საგანძურია, რომელსაც თვალისჩინივით გაფრთხილება უნდა.

შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელი წელიწადი წარმატებული იყო ამ კოლორიტული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისთვის, სა-დაც განხორციელდა ორი დიდი, ისტორიული მნიშვნელ-ობის პროექტი: **პირველი – საერთაშორისო სტანდარტების დონეზე გაკეთდა და კეთი-ლმოეწყო შემოქმედის ეკლესიაზე ასასვლელი გზა, რომელსაც შემოქმედელები უფლის გზას ეძახიან,** მე-18 საგზაო სამართველომ, მისი თავკაცის თემურ ჯახვას ხელმძღვანელ-ობით სამოთხეს დაამსგავსა მიმდებარე ტერიტორია, ბატონმა თემურ ჯახვამ თავისი პროფესიონალური მიდგომით, ყველაფერი ჩადო მშობლიური სოფლის ამ უნიკალური ადგილის კიდევ უფრო გაუნი-კალურებისთვის; მეორე – **შემოქმედი-გომისმთის გზის რესტავრაციით კიდევ ერთი კარგი და აუცილებელი ინფრასტრუქტურული ობიექტი შეემატა როგორც სოფელს, ისე გომისმთას – კურორტს, რომლის ახლო და შორეულ პერსპექტივებზე დღეს მხოლ-ოდ საქართველოში არ საუბრობენ.**

გარდა ამისა, მართალია, ასე მასშტაბური არა, მაგრამ, სოფლის ხელმძღვანელობისა და მოსახლეობის თქმით, სხვა, პრიორიტეტებად მიჩნეული, აუც-ილებელი ინფრასტრუქტურული პროექტებიც განხორციელდა აქ:

– გომისა და წითელმთის სკვერებში დამონტაჟდა საქანელები;

– გონებისკარში მოეწყო ფეხბურთის მოედანი;

– გორისფერდში გაკეთდა წყლის სათავანი;

– გომის სასაფლაოზე მი-

გვ-4

გამოიწერეთ გაზეთი „ალიონი“

ხელმოწერა:

ერთი წლით – 30 ლარი

6 თვით – 15 ლარი

საცალო ფასია 60 თეთრი

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 345 (10369) 30 ნოემბერი 2020 წ. ფასი 60 თეთრი.

ანასეულის საბავშვო ბაღში წყლის ბოილერი მოიპარეს

ალიონი. როგორც გაზეთ „ალიონს“ ოზურგეთის ბაღების გაერთიანების უფროსმა მაკა ჭყონიამ 27 ნოემბერს აცნობა, ანასეულის საბავშვო ბაღში, სავარაუდოდ გასულ ოთხშაბათს ღამით ცენტრალური გათბობის ბოილერი (ქვაბი) მოიპარეს.

ხსენებულ ბაზს გათბობის პრობლემა გასულ სეზონში შეექმნა, რაც გამოწვეული იყო ძველი ბოილერის მწყობრიდან გამოსვლით. რადგან მისი შეკეთება არ მოხეხდა, მუნიციპალიტეტის მერიის ხარჯებით შეიძინეს და დაამონტაჟეს ახალი, რომლის ღირებულება 6 ათას ლარს შეადგენს. მომხდარის შესახებ ბაღის ხელმძღვანელობამ მაშივე აცნობა პოლიცია. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეზღუდვების გამკაცრების შესახებ

საქართველოში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედმა უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ ქვეყანაში მოქმედი წერტილოვანი შეზღუდვების გამკაცრებისა და გაფართოების გადაწყვეტილება მიიღო.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით,

28 ნოემბერი - 31 იანვრის ჩათვლით:

ქვეყნის მასშტაბით იზღუდება:

21:00 საათიდან 05:00 საათამდე პირთა გადაადგილება როგორც ქვეითად, ისე სატრანსპორტო საშუალებით, ასევე საჯარო სივრცეში ყოფნა; გამონაკლისი იქნება ახალი წლის ღამე - 31 დეკემბრის ღამე და ასევე შობის ღამე - 6 იანვრის ღამე;

მგზავრების რეგულარული საქალაქთაშორისო გადაყვანა, მათ შორის - რკინიგზით, ავტობუსით, სამარშრუტო ტაქსით. მსუბუქ ავტომობილებზე (მათ შორის ტაქსებზე) არ წესდება შეზღუდვა;

რესტორნები და კვების ობიექტები მთლიანად გადადიან გატანის სერვისზე. დასაშვებია:

- პროდუქტის გატანა ე.წ. **takeaway**

- „დელივერი“

- „დრაივი“

ფიტნეს დარბაზებისა და საცურაო აუზების მუშაობა;

ყველა სახის კონფერენციის, ტრეინინგის, კულტურული, გასართობი ღონისძიებების ჩატარება - დასაშვებია მხოლოდ ონლაინ ფორმატით.

• სპორტული, სახელოვნებო და კულტურული წრეების/სტუდიების საქმიანობა.

დიდ ქალაქებში - ქ. თბილისში, ქ. ბათუმში, ქ. ქუთაისში, ქ. რუსთავში, ქ. გორში, ქ. ფოთში, ქ. ზუგდიდში, ქ.თელავში - და სათხილამურო კურორტები - ბაკურიანში, გუდაურში, გოდერძსა და მესტიაში დამატებით წესდება შემდეგი შეზღუდვები:

ქ. თბილისის, ქ. თელ-ავის, ქ. ბათუმის, ქ. ქუთაისის, ქ. რუსთავის, ქ. გორის, ქ. ფოთის, ქ. ზუგდიდის საზღვრებში მუნიციპალური ტრანსპორტის მუშაობა;

• სავაჭრო ობიექტები (გარდა სურსათის, ცხოველების საკვების, აფთიაქების, ვეტაფთიაქის, საყოფაცხოვრებო ქიმიისა და ჰიგიენის მაღაზიებისა და პრესის ჯიხურებისა) მუშაობენ მხოლოდ დისტანციურ რეჟიმში;

• ღია და დახურული ბაზრობები არ მუშაობენ. ფუნქციონირებას აგრძელებენ აგრარული ბაზრები;

• სკოლები, პროფსასწავლებლები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (გარდა სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამებისა) სრულად გადადიან დისტანციურ რეჟიმზე;

• კერძო და საჯარო

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეზღუდვების გამკაცრების შესახებ

საბავშვო ბაღები აჩერებენ მუშაობას.

სათხილამურო კურორტებზე ასევე:

სასტუმროების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ საკარანტინო სივრცეების მოსაწყობად;

ასევე, ჩერდება სათხილამურო ტრასებისა და სათხილამურო საბაგიროების ფუნქციონირება.

24 დეკემბერი - 2 იანვრის პერიოდში ხდება შეზღუდვების შემსუბუქება:

ქვეყნის მასშტაბით:

იმუშავებენ სავაჭრო ცენტრები, ღია და დახურული ბაზრობები;

აღდგება როგორც მუნიციპალური, ისე - საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მუშაობა.

3 იანვარი - 15 იანვრის პერიოდში ქვეყნის მასშტაბით: ცხადდება უქმე/დასვენების დღეები;

აღდგება ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებდა 28 ნოემბრიდან 24 დეკემბრამდე პერიოდში;

არ მუშაობს საჯარო და კერძო დაწესებულება, გარდა ბანკებისა და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებისა და სერვისებისა.

16 იანვარი - 31 იანვარი

ქვეყნის მასშტაბით:

აღდგება მუნიციპალური და საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მუშაობა, სავაჭრო ობიექტებისა და ღია და დახურული ბაზრობების მუშაობა (გარდა შაბათ-კვირისა).

შაბათ-კვირას ტრანსპორტი, სავაჭრო ობიექტები და ბაზრობები აჩერებენ მუშაობას

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში შეზღუდვები არ ეხება:

ყველა სხვა ეკონომიკურ საქმიანობას, მათ შორის:

1. სახელმწიფო და კერძო სამშენებლო-სარემონტო საქმიანობას;

2. საბანკო და საფინანსო საქმიანობას;

3. სურსათის, ცხოველების საკვების, აფთიაქების, ვეტაფთიაქის, საყოფაცხოვრებო ქიმიისა და ჰიგიენის მაღაზიების და პრესის ჯიხურების მუშაობას;

4. დელივერსა და გატანის სერვისებს;

5. სილამაზის სალონებისა და ესთეტიკური მედიცინის ცენტრების მუშაობას;

6. ავტოტექმომსახურებისა და ტექნიკური ინსპექტირების სერვისებს;

7. საყოფაცხოვრებო ტექნიკის სარემონტო სერვისებს;

8. აგრარული ბაზრობის მუშაობას

9. და სხვ.

არ იზღუდება მსუბუქი ავტომობილით (მათ შორის - ტაქსით) გადაადგილება.

პრემიერი - ვაწესებთ იმავე სახის დახმარებას, რომელიც გვქონდა თვითდასაქმებულებისთვის პირველი ტალღის დროს, ეს არის 300 ლარი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას ინფორმაციით, თვითდასაქმებულთათვის 300-ლარიანი დახმარების პროგრამა აღდგება. ამასთან, სახელმწიფო თვითდასაქმებულებს სესხის გადავადებაში დაეხმარება.

როგორც გიორგი გახარიამ მთავრობის უწყებათაშორისი საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, უკვე დაწყებულია იმ ადამიანების აღრიცხვა, რომლებიც არაფორმალურად არიან დასაქმებულები და ამ პროგრამით დაახლოებით 120 000 ბენეფიციარი ისარგებლებს.

„ჩვენ ვაწესებთ იმავე სახის სოციალურ მიზნობრივ დახმარებას, რომელიც გვქონდა თვითდასაქმებულებისთვის პირველი ტალღის დროს, ეს გახლავთ 300 ლარის ოდენობით. ჩვენ უკვე დაწყებული გვყავს ამ ხალხის აღრიცხვა და ამ 300-ლარიანი დახმარების გარდა ვიღებთ ვალდებულებას, რომ თითოეულ ადამიანს ამ სფეროდან, რომელსაც გააჩნია სესხი, სახელმწიფო მიზნობრივად დაეხმარება სესხის გადავადებაში. 300 - ლარიანი დახმარებით არაფორმალურად დასაქმებულე-ბისათვის პირველი ტალღის პერიოდში ისარგებლა 250 000-მა ადამიანმა. ამჟამად დავიწროებულია ეს სფერო და ვფიქრობთ, რომ იქნება სადღაც 100-120 000 ბენეფიციარი“, - აღნიშნა გიორგი გახარიამ.

პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, დახმარების პროგრამა პირველი იანვრიდან 6 თვის განმავლობაში ამოქმედდება იმ ადამიანებისთვისაც, რომლებმაც სამსახური დაკარგეს და მათ 6 თვის ჯამში 1200 ლარი დაერიცხებათ.

„მიზნობრივი პროგრამა ფორმალურად დასაქმებული ადამიანებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური, პირველი იანვრიდან დაიწყება თავიდან და გაგრძელდება

6 თვის განმავლობაში. ეს გახლავთ 1200 ლარი - 6 თვის განმავლობაში, 200 ლარი ყოველთვიურად. ყველა ის ადამიანი, რომელმაც ამ კრიზისში დაკარგა სამსახური, მიმართავს სახელმწიფოს, დამატებით მიიღებს დახმარებას 1200 ლარის ფარგლებში. წინა ტალღის პირობებში ამ დახმარებით ისარგებლა 125 000-მა ადამიანმა და ვფიქრობთ, რომ ახლაც მსგავსი ციფრი იქნება“, - განაცხადა გიორგი გახარიამ.

“ფატალურად დასრულდება!! კორონავირუსის დროს ეს პროდუქტები არ იყიდოთ” – ქართველი ექიმი მოსახლეობას აფრთხილებს

თერაპევტ-დიეტოლოგი ასმათ კევლიშვილი კოვიდ-19-სა და პანდემიის პირობებში კვების თავისებურებებზე საუბრობს. მისი რეკომენდაციით. მართალია, სწორად შერჩეული კვების რაციონი ადამიანს სეზონური გრიპისა და მისი გართულებისგან იცავს, მაგრამ კოვიდის შემთხვევაში პროდუქტთა ნაწილი სარგებლის ნაცვლად, მხოლოდ ამძიმებს დაავადების მიმდინარეობას.

“პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ რეკომენდაცია ნებისმიერმა პაციენტმა უნდა გაითვალისწინოს, ვინც მსუბუქი ან მძიმე პნევმონიით, დადასტურებული ან უსიმპტომო ვირუსითაა ავად, რადგან თავისუფლად შეიძლება მსუბუქად მიმდინარე დაავადების არასწორი კვებით დამძიმება.

სუნთქვის ორგანოების კედლების შესქელების და გართულებული სუნთქვის შემთხვევაში ბევრად მეტი ლორწო გამოიყოფა, ვიდრე ჩვეულებრივ, სწორედ ლორწოს გასათხელებლადაა საჭირო დიდი ოდენობით სითხის მიღება, მათ კი, ვისაც უჭირს ბევრი სითხის დალევა, შეუძლია ხშირად, თუმდაც 5-წუთიანი ინტენსივობით რამდენიმე ყლუპის დალევა. კატეგორიულად იკრძალება შაქრით ან თაფლით დამტკბარი კომპოტების მირთმევა, რომლებიც ხელს უწყობენ პათოგენური მიკრობების განვითარებას, გაზიანი წყალი კი, ერთის მხრივ, ორგანიზმის გაუწყლოებას, მეორეს მხრივ, ლორწოს შესქელებას იწვევს.

მართალია, პრევენციის მიზნით საჭიროა და ჩ-ვიტამინების მიღება, მაგრამ არ შეიძლება - ვიტამინის შემცველი რძისა და რძის პროდუქტის მირთმევა, რადგან სწორედ ლაქტოზა აძლიერებს ლორწოს გამოყოფას, ძეხვეული და თევზი (ქაშაყი, ორაგული), კვერცხი და მაგარი ყველი, თხილი, შოკოლადი, ციტრუსი და ჰისტამინის შემცველი სხვა პროდუქტი კი, სუნთქვის უკმარისობას იწვევს. მართალია, თევზი - ვიტამინს შეიცავს, ციტრუსი კი, ჩ-ვიტამინითაა მდიდარი, მაგრამ ჰისტამინსაც საკმარისად შეიცავს, რაც ბევრად ინტენსიურად გამოჰყოფს ლორწოს. -ვიტამინით მდიდარი პომიდორი კი, თრომბის წარმოქმნას უწყობს ხელს.

ლორწოს სეკრეციას იწვევს რაფინირებული საკვებიც, მაგალითად შვრიის ფანტელის ან ჰერკულესის ხარშვისას, ნათლად ჩანს რამდენად ინტენსიურად წარმოიქმნება ლორწო. აუცილებლად უნდა მოვერიდოთ ცხოველური წარმოშობის ცხიმებს, ასევე კომბოსტოს, კარტოფილს, სიმინდს და ბანანს”, – განაცხადა “ფორტუნას” ეთერში ასმათ კევლიშვილმა.

სოფელ შრომაში კვენეტაძეების ოჯახს სასუნთქი აპარატი გადასცეს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ შრომის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები კვენეტაძეების ოჯახისთვის სასუნთქი აპარატი ე.წ. კონცენტრატორი შეიძინა.

პაციენტს, რომელსაც მუდმივად ესაჭიროება ოქსიგენოთერაპია, ახალი აპარატი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ირაკლი სირაძემ და შრომის ტერიტორიულ ერთეულში მერის წარმომადგენელმა, კონსტანტინე ხომერიკმა გადასცეს.

საკრებულოს სხდომაზე საზოგადოებისთვის საინტერესო და აქტუალური საკითხები განიხილეს

ალიონი. პანდემიასთან დაკავშირებული აუცილებელი დისტანცირების გამო, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მორიგი 27 ნოემბრის სხდომა ფოლკლორის ცენტრის საკონცერტო დარბაზში გამართა და ჩვენი საზოგადოებისთვის მეტად საინტერესო 15 საკითხი განიხილა.

დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულებებს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“, რომელშიც ოცამდე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთია შეტანილი.

აქვე მიიღეს განკარგულებები „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“.

მხარი დაუჭირეს მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ 26.33.23.105) შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 6 000 კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

ექსტრემალურ სპორტის სახეობაში (კაიაკინგი) აქ გამართულმა ჩემპიონატებმა დიდი პოპულარობა მოუტანა ევროპულ სპორტულ საზოგადოებაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და შემოქმედის თემს.

საერთაშორისო ეკოკემპინგის ტურისტული ეკობანაკის მოსაწყობად, სასყიდლიანი იჯარის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობაში, 20 წლის ვადით ეს მიწა გადაეცემა იოსებ ერქომაიშვილს.

მიიღეს განკარგულება „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“, რომლის თანახმად არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1618 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი და მასზე მიმაგრებული შენობა-ნაგებობა უსასყიდლოდ გადაეცემა სახელმწიფოს, შემდგომში სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ფუნქციონირების მიზნით.

დაადგინეს შეიტანონ ცვლილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანადებობრივი სარგოების ოდენობათა განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის №21 დადგენილებაში.

დაამტკიცეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულება“.

მხარი დაუჭირეს დადგენილების მიღებას „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ, რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება“.

მიიღეს განკარგულება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ მიღებული განკარგულების თანახმად, ე. ნინოშვილის №2-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი (ს/კ 26.26.54.110) უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცემა სახელმწიფოს, შემდგომში საქართველოს შსს-თვის გადაცემის მიზნით.

იმსჯელეს და მიიღეს განკარგულება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020-2021 წლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“.

მიიღეს განკარგულება ა(ა)იპ „სოციალური პროექტების განვითარების ფონდის“ მიერ წარმოდგენილი წინადადებების/პროექტების მოწონებისა და შემსრულებელ ორგანიზაციად განსაზღვრის შესახებ.

მიიღეს განკარგულებები ქალაქ ოზურგეთში იოსებ იმედაშვილის ქუჩას ეწოდოს გენო ჩხაიძის ქუჩა, ხოლო დაბა ურეკში ერთ-ერთ ქუჩას – ზემო ურეკის ქუჩა.

მხარი დაუჭირეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანი (მ2 და მ3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მისაღებად.

2021 წლის ბიუჯეტში ფართო საზოგადოებრივ ინტერესებს ვერ ხედავენ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი, საკრებულოსთან არსებულმა საზოგადოებრივმა დარბაზმა განიხილა.



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი, საკრებულოსთან არსებულმა საზოგადოებრივმა დარბაზმა განიხილა.

შეხვედრას, რომელიც დისტანციურად, ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით გაიმართა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძე უძღვებოდა.

რა კითხვებს სვამდნენ არასამთავრო ორგანიზაციის ხელმძღვანელები:

ოთარ რევიშვილი, თამარ ღლონტი, გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი; ლევან ხინთიბიძე,ირაკლი პაპავა დემოკრატიული განვითარების კავშირი; გიგი მახარაძე, ჩართულობის ცენტრი; მინდია სალუქვაძე, „პროგრესის სახლი“; კახა ლომაძე, სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო, ნანა თავდუმაძე, საკრებულოს აპარატის უფროსი; ნუგზარ ასათიანი, გაზეთი „ალიონი“.

რა შენიშვნები ჰქონდათ ოპონენტებს: კვლავ არაა ჩაშლილი ბიუჯეტის პროექტში ხარჯების თემა, რაც არ იძლევა ბიუჯერის სრულყოფილად გაცნობის საშუალებას; საზოგადოებრივი ჯანდაცვის და სოციალურად დაუცველებისთვის კვებითი მომსახურების ხარჯები მცირდება; საკრებულოს როლი ბიუჯეტში უნდა გამოიკვეთოს; ადმინისტრაციული ორგანოების სუბსიდირება არ ჩანს; არაა გადაწყვეტილი სასწორების თემა;

გიგი მახარაძის აზრით იგი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი 2021 წლის ბიუჯეტში ფართო საზოგადოებრივ ინტერესებს ვერ ხედავს, ხოლო ლევან ხინთიბიძე მიიჩნევს, რომ პრიორიტეტულ დოკუმენტში გაურკვეველია ნარჩენების მართვის საკითხი.

დადებითი მხარიდან აღნიშნეს სამოქალაქო ბიუჯეტისადმი მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა. ამ კუთხით 300 ათასი ლარია გამოყოფილი.

საზოგადოებრივი დარბაზის წევრების ყველა კითხვას გასცა პასუხი მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა პავლე ჭყონიამ.მან მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილ ძირითად პარამეტრებზე გაამახვილეს ყურადღება.

ორლაინ რეჟიმში საკრებულოს სხდომა 2 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

გიორგი ღურჯუმელიძემ მადლობა გადაუხადა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს საბიუჯეტო პროცესში აქტიურად მონაწილეობისკენ და შეხვედრის მონაწილეებს საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების მიერ შემუშავებული დასკვნები გააცნო.

ოზურგეთის საკრებულომ აღმასრულებელ ორგანოს, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი დაუბრუნა და დარგობრივი კომისიების, ფრაქციების დასკვნები წარუდგინა.

რას პირდება სოციალური პროექტების განვითარების ფონდი ოზურგეთელებს

ალიონი. გასულ პარასკევს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე სოციალური პროექტების განვითარების ფონდის მიერ წარმოდგენილი წინადადებების მოწონებისა და შემსრულებელ ორგანიზაციად განსაზღვის თემაზე იმსჯელეს.

როგორც საკრებულოს სხდომაზე ითქვა, მსგავსი პროექტები უკვე განხორციელდა უკრაინაში, მოლდავეთში, სლოვაკეთში. საქართველოში შექმნილმა სოციალური განვითარების ფონდმა კი სამიზნე მუნიციპალიტეტად ოზურგეთი აირჩია.

როგორც ფონდის დირექტორის ლევან ჯანგულაშვილის წერილით ვგებულობთ, დასახელებული ფონდის მიზანია სახელმწიფო სოციალური პროექტების განხორციელების ხელშეწყობა და უსასყიდლოთ დაფინანსების მოზიდვა ნებისმიერი სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტების განხორციელებისათვის.

ლევან ჯანგულაშვილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს წერს, რომ დაფინანსების აღნიშნული სქემით შესაძლებლობა აქვთ მოიძიონ შესაბამისი დონორები და მათი დახმარებით განახორციელონ შემდეგი პროექტების დაფინანსება:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოციალური სახლების მშენებლობა;

ქალაქ ოზურგეთის ისტორიული უბნის რეაბილიტაცია;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ხანდაზმულთა თავშესაფრის მშენებლობა;

სოფელ მთისპირი-ბახმაროს საბაგირო გზის მოწყობა;

ქალაქ ოზურგეთში რეკრიაციული ზონის მოწყობა.

აღნიშნულ ფონდს სამიზნე სოფლად სოფელი ნატანების აურჩევია და შემდეგ პროექტებს სთავაზობს ნატანებლებს:

სპორტული კომპლექსის, საჯარო, მუსიკალური სკოლების, საბავშვო ბაღის, ამბულატორიის, ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია.

გარდა ამისა, სოფელ ნატანებში უნდა მოხდეს ცენტრალური ქუჩის კეთილმოწყობა და შიდა 130 კილომეტრი გზის რეაბილიტაცია.

– 4 წელია იმედით ვცოცხლობ, ნატანებელთა პროექტი სამუსიკო სკოლის (რომელიც ადმინისტრაციულ შენობაში ა განთავსებული) რეაბილიტაციის შესახებ 2020 წელს არ განხორციელდა, ხოლო მომავალი წლის ჩამონათვალში საერთოდ ამოიღეს თუკი სოციალური პროექტების განვითარების ფონდი აქ ჩამოთვლი პროექტების თუნდაც ნახევარს შეასრულებს, საერთოდ არ ამოვიღებ ხმას ინფრასტრუქტურულ პროექტების თემაზე საკრებულოს სხდომაზე –განაცხადა სოფელ ნატანების მაჟორიტარმა დეპუტატმა თამაზ ტულუშმა.

-ამ პროექტების განხორციელების შემთხვევაში ბიუჯეტს მნიშვნელოვანი თანხები დაეზოგება. ახლა კი ამ საკითხს გააზრებულობათა ოქმი სჭირდება –განაცხადა საკრებულოს სივრცით დაგეგმარების და ინფრასტრუქტურიის კომისიის თავმჯდომარე ლავრენტი ბიგვავამ.

დეპუტატებმა მუნიციპალიტეტის მერიიდან წარმოდგენილ პროექტს ერთხმად დაუჭირეს მხარი.

რა შედეგებით ამთავრებს წლევანდელ წელიწადს სოფელი შემოქმედი

იყვანეს ელექტროენერგია და მოაწყვეს განათება;

— გაშობილას უბანში (ფატარი) მოაწყვეს საფეხ-ბურთო მოედანი;

— სოფლის ადმინისტრაციულ შენობაში მოეწყო საჭიდაო დარბაზი;

— რეაბილიტირებულ იქნა წითელმთის სკვერი;

— სკვერი მოეწყო ასევე ფატარში;

— გონებისკარში ხიდებზე გაკეთდა მოაჯირები...

ხელმძღვანელობას — მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს, ბატონ სოსო სადრაძეს, მაჟორიტარ დეპუტატს მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ბატონ თამაზ ბურჭულაძეს, მუნიციპალიტ-ეტის მერის წარმომადგენლის თანაშემწეს ბატონ სერგო ლეჟავას გასულ ხუთშაბათს, 21 ნოემბერს შევხვდით სო-ფლის ადმინისტრაციულ შენო-ბაში. სწორედ აქ გავიგეთ, რომ სოფელს ერთი შემოქმედელი შეემატა, ქალიშვილის შეძენა მივულოცეთ ბატონ სერგო ლეჟავას, შემდეგ კი ნაუცბ-ათევი ინტერვიუ გავმართეთ ბატონ სოსო სადრაძესთან

— ბატონო სოსო, ერთი თვეც და 2020 წელს მიითვლის მემატიანე. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით წლეულს რამდენი პროექტი განხორციელდა შემოქმედში?

— გადავხედოთ ერთად, ათამდე პროექტია განხორციელებული 140 ათასი ლარის მოცულობით.

— რამდენადაც ვხედავ, ყველა ინფრასტრუქტურულია.

— დიახ. მოსახლეობამ პრიორიტეტებად ესენი მიიჩნია. ორ ლოკაციაზე, წითელმთასა და შემოქმედში ჩატარდა საერთო კრებები. ამ კრებებზე, მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შეირჩა ეს პროექტები.

— ხომ არ იყო ისეთიც, პრიორიტეტულ ათეულში რომ ვერ მოხვდა?

— მასე რომ მივყვეთ, ლოკაციები იმდენია, შეიძლება მთელი დღე მოვუნდეთ ჩამოთვლას. ძალიან ბევრი მოთხოვნა იყო. ამ ბევრიდან, მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოსახლეობასთან შეთანხმებით, ისე შეირჩა პრიორიტეტები, რომ 140 ათას ლარში ჩატეულიყო.

— ვარლამ სიმონიშვილის სახლ-მუზეუმს გადავხედეთ და მართალი გითხრათ, ვერ არის სასურველ ფორმაში. ხომ არ ყოფილა პრიორიტეტებში დასახელებული?

— ეგ იმხელა თანხასთან არის დაკავშირებული, შემოქმედზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მთლიანად გამოყოფილი თანხითაც ვერაფერს გავხდებოდით, ვერაფერს დავატყობდით.

— მაინც რა თანხაა ასეთი?

— ზუსტად ვერ გეტყვით, 250 ათას ლარამდე ამბობენ, სახლ-მუზეუმმა საბოლოო სახე რომ მიიღოს.

— წინა წლებში ხომ არ ყოფილა მცდელობა?

— არა, ჩემს დროს არ ყოფილა. როცა აიგო, მე არ ვიყავი შემოქმედში, არც სოფლის მხარდაჭერის პროგრამა არსებობდა მაშინ.

— საკრებულოს სხდომაზე, ან მუნიციპალიტეტის მერთან ხომ არ განხილულა ეს საკითხი?

— ჩემს პერიოდში ეგ თემა არ განხილულა, მანამდე ვიცი, იყო მცდელობები, სად და როგორ მოეძიათ თანხები პროექტის მთლიანად დასრულებისთვის, მაგრამ, რატომღაც ვერ მოება ამ საქმეს თავი.

— რამდენი ხანია, ასეთ მდგომარეობაშია სახლ-მუზეუმი?

— სამი-ოთხი წელი, ალბათ.

— რამდენიმე ადგილას წნელის ღობეც ჩაქცეულია, პირუტყვიც შევნიშნეთ ეზოში...

— ოთხი წელია პატრონი არ ჰყავს, აბა, რა იქნება?! სოფელს უნდა ამის გაკეთება, მაგრამ საამისო თანხებია მოსაძიებელი, რაც ზემდგომების პრეროგატივაა.

— ბატონო სოსო, შემოქმედი გურიაში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ საუკეთესო ბაზად ითვლება. რა გაკეთდა ამ თვალსაზრისით სოფელში?

— გეთანხმებით. აქ ტურიზმის განვითარების მართლაც რეალური პერსპექტივებია. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია კურორტი გომისმთა და ბჟუჟის ხეობა, დიდი ინტერესია ორივესადმი. ბჟუჟის ხეობაში ევროპის ჩემპიონატიც კი ჩატარდა და ჩატარდება ყოველწლიურად, გაზაფხულზე და შემოდგომით. როგორც, ამბობენ საუკეთესო ადგილია სპორტის ამ სახეობაში მაღალი დონის ჩემპიონატების ჩასატარებლად. სხვა ინფრასტრუქტურული პროექტებიც დადებით როლს შეასრულებს აქ ტურისტების მოსაზიდად.

— გომისმთა ვახსენეთ რამდენჯერმე. რამდენადაც ვიცი, აქ თქვენი სოფელი ფლობდა მნიშვნელოვან ტერიტორიებს, საძოვრების სახით. კურორტის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბების შემდეგ, შემოქმედელი მოსახლეობის თხოვნა იყო, სოფელს უფასოდ გადმოცემოდა იმ ტერიტორიების ნაწილი საგარაკო სახლების ასაშენებლად. მგონი, აპირებდნენ იუსტიციის მინისტრისთვის მიეწერათ ამის თაობაზე.

— სოფლის ეს ინიციატივა ჩვენ დავაყენეთ, რადგან შემოქმედს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის გომისმთის კურორტად ჩამოყალიბებაში. აზომილი და გამზადებულია ტერიტორია. პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა შეგვიშალა ხელი. ეკონომიკის სამინისტროსთვის გასაგზავნი წერილი თითქმის მზად არის. როცა ახალი პარლამენტი

შეუდგება ფუნქციონირებას, ვაპირებთ ამ საკითხზე მივმართოთ შესაბამის ორგანოებს.

— იმედია, ამ ინიციატივას ლოგიკურად მიუდგებიან და დადებითად გადაწყდება საკითხი. გომისმთა თქვენთვის, შემოქმედელებისთვის მაინც მშობლიური კურორტია. უთუოდ გეცოდინებათ იმ სკანდალების შესახებ, რაც იქ წლეულს საგარაკე ფართობების განაწილებისას მოხდა.

— დიახ, ისეთი რაღაცეები მოხდა, რაც არ უნდა მომხდარიყო, არც მოხდებოდა, თავიდან რომ ყოფილიყო რეგულაციები. მაგრამ რაც მოხდა, იმის გამოსწორება, ჩემი აზრით, შეუძლებელია.

— ახლა ის, რითაც უნდა დამეწყო თქვენთან ეს ნაუცბათევი ინტერვიუ. როგორი მდგომარეობაა სოფელში კოვიდ-პანდემიასთან დაკავშირებით?

— დაახლოებით ისეთი, როგორიცაა ზოგადად გურიაში. დაფიქსირებულია ინფიცირების შემთხვევები. ნაწილი სტაციონარში მკურნალობს, ნაწილი თვითიზოლაციაში იმყოფება. რა თქმა უნდა, გატარდა შესაბამისი ღონისძიებები. მოსახლეობას მოვუწო-დებთ მაქსიმალურად გაით-ვალისწინონ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციები.

— და ბოლოს, ბატონო სოსო, ხომ არ დაგვრჩა ისეთი საკითხი, რაზეც ყურადღების გამახვილება გინდ-ოდათ?

— ორიოდე სიტყვა მინდოდა მეთქვა აგრარულ პოლიტიკაზე. თუ სოფლის მეურნეობას, როგორც პრიორიტეტულ დარგს, არ მოეხედა, უკიდურეს სიდუხჭირეში აღმოვჩნდებით. ამ თვალსაზრისით ვერ ვხედავ სასურველ მდგომარეობას როგორც ქვეყანაში, ისე მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში.

— გმადლობ ინტერვიუსთვის.

— მადლობა თქვენ.

ებრაული მიგრაციის ადრეული ეტაპები ქართლში (იბერიაში)

(„ნათესავით ჰურიანი“ და „ჰურიანი ქართველნი“)

ანოტაცია. საქართველოში ებრაული მიგრაციის ადრეული ეტაპის დასაწყისია უნდა იყოს ძვ. წ. 169 წელი (22 და არა 26 საუკუნე), რის შესახებაც პირველად 22 წლის წინ დავბეჭდე სტატია ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო გაზეთში “კალმასობა”. მეტად საგულისხმოა, რომ ანალოგიური პოზიცია დაასაბუთეს ათი წლის შემდეგ იერუსალიმში გამოსულ თავის მონოგრაფიაში “**Евреи грузии»** პროფ. კონსტანტინე ლერნერმა., ხოლო 2016 წელს პროფ. ლილი ბააზოვამ ვრცელ წიგნში “**Евреи в грузии»**. ამდენად, ამ კვლევათა მიხედვით 2031 წელს უნდა აღინიშნოს ქართულ-ებრაული მეგობრობის 2 2 0 0 წელი.

საკვანძო სიტყვები: ებრაული მიგრაცია, ქართლი (იბერია), მოქცევა? ქართლისა?, ლეონტი მროველი, მეფეთა ცხოვრება, ნათესავით ჰურიანი, მბრძოლნი, ჰურიანი ქართველნი.

შესავალი

ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლებში („მოქცევა? ქართლისა?“, „მეფეთა ცხოვრება“) შემონახულია რამდენიმე გადმოცემა ებრაელთა ქართლში მოსვლისა და დამკვიდრების შესახებ.

ისტორიულ-ლიტერატურული ანალიზი

ლეონტი მროველი თავის საისტორიო თხზულებაში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ მოგვითხრობს: „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქ?ან ზანავი. და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა, აწ ჰქ?ან ხერკ ხარკისა მისთ?ს“.

მკვლევარები მიიჩნევენ, ლეონტის ლიტერატურულ წყაროს წარმოადგენს „მოქცევა? ქართლისა?“, სადაც აღნიშნულია„მაშინ მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი, ჰონნი, და ითხოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ქვეყანა ხარკითა და დასხდნენ იგინი ზანავს. და ეპყრათ იგი, რომელიც ხარკითა ქონდათ, და ჰქვია მას ხერკი“.

როგორც ჩანს, ლეონტი მროველს „მოქცევა? ქართლისა?ს“ უფრო უკეთესი ხელნაწერი ჰქონდა, რომელშიც „ჰონნი“-ს ნაცვლად „ჰურიანი“ იქნებოდა დაწერილი.

რაც შეეხება „ქალდეველებს“, მათში „მეფეთა ცხოვრების“ ავტორმა „ბაბილონელები“ იგულისხმა და ებრაელთა ქართლში მოსვლა ცნობილ ისტორიულ ფაქტს, ბაბილონელთა მეფის ნაბუქოდონოსორII-ის(ძვ.წ. VI ს.) მიერ ებრაელთა განსახლებას დაუკავშირა.

მაგრამ ამგვარი დაკავშირება გარკვეულ ქრონოლოგიურ შეუსაბამობას იწვევს. კერძოდ, „მოქცევა? ქართლისა?“ ამბის თხრობას ალექსანდრე მაკედონელის ეპოქიდან იწყებს და მხოლოდ ამის შემდეგ არის აღნიშნული ფაქტი ჩართული ტექსტში, რაც ბუნებრივად გამორიცხავს მის ნაბუქოდონოსორII-ის ეპოქისადმი კუთვნილებას. თხზულების „მოქცევა? ქართლისა?“ იმ ნაწილში, სადაც მოთხრობილია „ნინოს ცხოვრება“, მოცემულია თარიღი ებრაელთა ქართლში მოსვლის შესახებ აბიათარისა და ვასპურაკანის მთავრის საუბრის დროს:”მაშინ მოუწოდა აბიათარს ასტირონ მთავარმან გუასპურაგნელმან ფარულად და ჰრქუა: "მაუწყე, საყუარელო, შენ არა ჰურიათა მღდელი იყავ წილით ხუედრებული მკ?დრი, რამეთუ არიან წელნი, ვინაგან მამანი თქუენნი აქა მოვიდეს: ფ გ წელსა“. იქვე თავის პასუხში აბიათარი აღნიშნავს: „დღესითგან ქრისტესამდე არიან წელნი სამას ოცდაათოთხმეტ, ვინა?თგ[ა]ნ ღმერთმან არღარა ყო მოხედვა ისრაელთა ზედა.“

როგორც აკად. გიორგი მელიქიშვილი მიუთითებს, „თუ იმის გავითვალისწინებთ, რომ „მოქცევა? ქართლისა?ში“ ქრისტეს დაბადებიდან თარიღები მოტანილია, როგორც თარიღები ქრისტეს გარდაცვალებიდან, შეიძლება გამოვიანგარიშოთ მცხეთაში ებრაელთა მოსვლის(მცხეთის ებრაული კოლონიის დაარსების)... დრო ახ. წ. 334 წ. – 503 = ძვ.წ. 169 წელს“. ეს საისტორიო მონაცემი ზუსტად თანხვდება სელევკიდების მეფის ანტიოქოსIV ეპიფანეს მიერ ძვ. წ. 169 წელს დაწყებულ საოკუპაციო მდგომარეობის გაძლიერებას, რა დროსაც მან წარმოუდგენელი შეურაცხყოფა მიაყენა ებრაელთა რელიგიურ სიწმინდეებს. როგორც ჩამს, იუდეველთა ერთმა ნაწილმა დაუმორჩილებლობა გამოუცხადა ანტიოქოსის ბრძანებას, რითაც, სავარაუდოდ, საფუძველი ჩაუყარა ანტი-საოკუპაციო წინააღმდეგობის მოძრაობას. კერძოდ, ეროვნული მეობისა და რელიგიური რწმენის დაცვა-შენარჩუნების მიზნით, შექმნილი მძიმე ვითარებიდან გამომდინარე, მათ მიიღეს ძალზედ რთული გადაწყვეტილება და დატოვეს

გვ-8

ექსკლუზივი

ნასაპირალის კრიმინალური ქრონიკა

მამუკა გოგუაძე

— რუსეთში წასვლა კარგი საქმეა. დიდია რუსეთი, საქართველო კი — პატარა და ამ პატარა ქვეყანაში ეს სოფელი თხილის გულის ოდენაა. კარგი მოგიფიქრებიათ. აბა, ორ დღეში შემოგივლით და წაგებულს ჩაგაბარებთ.

— იქნებ ჩემს ასაკზეც დავნაძლევდეთ? — სიცილით უთხრა ლუბამ.

— არა. საკმარისია. რუსებს ასაკი არ გეტყობათ და ისევ წავაგებ. ამას ჩემი ხელფასი არ ეყოფა.

— მხოლოდ ხელფასზე ცხოვრობ, უფროსო? — წაკბინა სედოიმ.

— შენ მაძლევ რამეს, სედოი? — ისევ გადააგდო ანკესი კაპიტანმა.

მოცემას დამსახურება უნდა.

— და რით უნდა დავიმსახურო?

— ეს უკვე სხვა ლაპარაკია და წაგებულს რომ ჩააბარებ, მერე ვისაუბროთ.

— შეხვედრამდე.

ისევ თოვს გარეთ. ნაგაზი აშვებულია. კაპიტანი შეყოვნდა. სერი ძაღლთან მივიდა, კაპიტნის გასაგონად ამბობს:

— როდის იყო შენ შენი მოძმის ხორცს ჭამდი?!

ძაღლიც მიყუჩდა. მივიდა კაპიტანთან, დაყნოსა და ლაქუცი დაუწყო.

— ძაღლმა ძაღლი იცნო. — ახარხარდნენ სერი და სედოი.

ერთი აქედან დროზე გავიდე და ირინა-ვერას პასპორტის ნომერი არ დამავიწყდეს, დანარჩენზე მერე, ბიჭებოო, — გულში ფიქრობდა კაპიტანი. გადავიდა ჭიშკარს და დაეშვიდობა მასპინძლებს. აზრები თოვლის ფანტელებივით ცვიოდა გონებაში. სუფთა ჰაერს ღრმად ისუნთქავდა. უცებ ახალგამოცხვარი პურის სურნელი იგრძნო და გაახსენდა, რომ დღეს მხოლოდ ერთი ფინჯანი ჩაი დალია...

არ შეუვლია თავის ოთახში, ისე განაგრძო გზა ჩაფიქრებულმა, ქალაქში ეჩქარებოდა, მილიციის უფროსი უნდა ენახა. თითქოს არც არაფერი იყო, ბიჭებთან რუსი გოგონები იყვნენ ჩამოსულები, მაგრამ რატომ მალულად და სახელი რატომ შეიცვალა ერთმა? იქნებ სახლში ასე ეძახდნენ და შერჩა ვერას ირინას სახელი? არა, ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა კაპიტანს. თოვლის ფანტელი ცხვირ-პირში ურტყამდა, ატყობდა, ძალა აღარ ჰყოფნიდა, დაძაბული იყო, მთელი დღე მსახიობობდა, მხოლოდ ერთი ჭიქა ჩაი დალია. გზაზე მანქანის ჭაჭანება არ ჩანდა. სამაგიეროდ, ბავშვების ჟივილ-ხივილი იკლებდა თოვლიან არემარეს. ტრაქტორი კი წმენდდა თოვლიან გზებს, არ ჩერდებოდა. აგერ, ბავშვები მიზანში ესროდნენ კაბინაში მყოფ ტრაქტორისტს, რომელიც მათ მხიარულად ანიშნებდა, რომ გუნდა მას კი არა, კაბინას ხვდებოდა. ბავშვებიც მეტი აზარტით ისროდნენ და გულიანად ერთობოდნენ.

უცებ გაახსენდა თავისი ბავშვობა. 37-ში, გაურკვეველ მდგომარეობაში დაკარგული მამა, ავადმყოფი დედა, რომელიც მეუღლის დაკარგვას ვერ შეეგუა და ვერ მალავდა ცრემლებს, მისდაუნებურად რომ სდიოდა თვალებიდან. დღესაც ჰგონია, რომ ის თვალები იყო ყველაზე ლამაზი, რაც კი აქამდე უნახავს. მას ეგონა ასე, თორემ ლამაზი თვალების მეტი რა შეხვედრია. შინაგანად იმდენად წესიერი იყო, მხოლოდ დედისა და მეუღლისთვის თუ ჩაუხედავს თვალებში. დედის ტირილსა და მწუხარებაში მიდიოდა ბავშვობა, უსიხარულო, უსიყვარულო, ცივი, პირქუში... ათი წლის იყო და კარგად ახსოვს, მამა რომ წაიყვანეს, სად და რატომ? — არავინ იცის. ერთადერთი და კი, ჩვილობაში გარდაეცვალა.

ყველა ქალი ვერ უძლებს განსაცდელს, დიდ ტკივილს. ზოგი ოთარაანთ ქვრივივით თავს დასტრიალებს ოჯახს, ნაგრამს, კარ-მიდამოს, ზოგი კი ბორის ჟღენტის დედასავით ტირილში ატარებს დარჩენილ ცხოვრებას. სარწმუნოებაში გაუთვითცნობიერებელს ღვთის რწმენა არ ჰქონდა, რომ ლოცვით შეემსუბუქებია თავისი ყოფა და ეს ულამაზესი ქალი, ვისზეც ლეგენდები დადიოდა, 1943 წლის გაზაფხულზე იპოვა შვილმა საწოლზე გულხელდაკრეფილი... ექვსი წელი ელოდა მეუღლეს, ექვსი წელი ვერ შეიშრო ცრემლი თვალზე, ვერ გადაიტანა განსაცდელი და ჩუმად გავიდა ამ წუთისოფლიდან ისე, რომ არავის საყვედური დასცდენია, არც იმათი, ვინც მეუღლე წაიყვანა, არც იმისი, ვინაც შესაძლოდ ცრუდ დაასმინა და არც მთავრობისა. შეიძლება იმიტომ, ბავშვს რაიმე არ დამართონო. ჩაფიქრებულ კაპიტანს კი ჰგონია, რომ დედას მტრისთვისაც არ ემეტებოდა აუგი სიტყვა. ამ მხრივ კაპიტანი დედის ასლია, სიტყვაძუნწი. ზედმეტი არ დაცდება სხვაზე რაიმე ცუდი. მაგრამ ვერ იტანს ჩაგვრას, ბილწსიტყვაობას, ქვეყნის მუწუკებს. ამიტომაც აირჩია იურისტის პროფესია. იშვიათად ლაპარაკობს ბავშვობის წლებზე, მაგრამ ხანდახან მაინც წამოცდება — ულამაზესი დედა მყავდა, მამის ერთგულებას გადაჰყვა, ციურ ანგელოზს ჰგავდა მიცვალებულიო...

თექვსმეტი წლიდან მარტომ დაიწყო ცხოვრებასთან ჭიდილი... საათს დახედა, რატომ არ ღამდებაო, მერე გაიცნობიერა, რომ თოვლი ანათებდა ირგვლივ ყველაფერს. გაეღიმა ფიქრებიდან გამორკვეულს, ისე ჩასულიყო ქალაქში, ვერც შეემჩნია. ცოტაც და კარზე დააკაკუნა, ხმაშეცვლილმა დაიძახა:

— სასწრაფოდ კარი გააღეთ.

— ბორისი შინ არ გახლავთ.

— ძალიანაც კარგი, გააღეთ კარი.

— მეზობლებს დავუძახებ, მილიციაში დავრეკავ. — კარებს მიღმა ქალის ხმაში შიშის ბზარი გაჩნდა.

— ნანა, მე ვარ.

კარი გაიღო და აცრემლებული ნანა კისერზე შემოეხვია მეუღლეს...

ბავშვებს ეძინათ.

— ჩაის დალევ?

— თუ სხვა რამე გაქვს, შევჭამ, თუ არა, ჩაის დავლევ, დღეს მხოლოდ ერთი ფინჯანი ჩაით ვარ.

ინანა ბოლო სიტყვები. რა საჭიროა, რომ არაფერი გიჭამია და ფეხით გამოიარე ხუთკილომეტრიანი გზა.

ნანამაც გაუგო და არ შეიმჩნია მეუღლის ეს სიტყვები, ვახშამი გაუმზადა.

არ უყვარდა კაპიტანს სამსახურის საქმეზე საუბარი, მაგრამ უნებურად წამოცდა, ხვალ დილით მილიციის უფროსთან აუცილებელი შეხვედრა მექნება ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე, დარწმუნებული ვარ, ჩემი ეჭვი გამართლდებაო.

ნანამ გაიკვირვა, 10 წლის ცოლქმარი არიან და პირველად თქვა ბორისმა, ვის და რატომ ხვდება. აღარ ჩაეძია, ინტუიციამ უკარნახა, რომ ბორისს ეს წამოცდა და მეტს ვერც ვერაფერს გაიგებდა...

დილის 10 საათია. მიუხედავად დიდთოვლობისა, წარმოება-დაწესებულებები წუთითაც არ ჩერდება. ქალაქში სრული წესრიგია.

დილის თათბირია მილიციის უფროსთან, უბნის ინსპექტორები ბოლო ერთი კვირის ინფორმაციას აწვდიან თამაზ ვახტანგიჩს. სერიოზული არაფერია, პრევენციული ზომები მიღებულია, სანდო ხალხთან მუშაობა დამაკმაყოფილებელია. თათბირი შედარებით ადრე დამთავრდა. რიგრიგობით გადიან უფროსის კაბინეტიდან უბნის ინსპექტორები, ბორისი ფეხს ითრევს, ჯგუფს ბოლოში მოექცა.

— ამბაკოვიჩ, რაღაცის თქმა გინდა, ვატყობ, დარჩი და მითხარი. — თითქოს რენტგენში გაატარა უფროსმა კაპიტნის ნაზრევი.

— კი, თამაზ ვახტანგიჩ, საქმე მაქვს...

თითქმის საათნახევარი გაგრძელდა მილიციის უფროსისა და უბნის ინსპექტორის საუბარი.

— თითქოს არაფერია საგანგაშო, მაგრამ ქურდული ცხოვრების მოტრფიალეთა სახლში რომ მალულად ჩამოსული ქალები არიან, რაღაცნაირად არ მომეწონა.

— შენ წინადადებაც გექნება, ტყუილად არ მეტყოდი ამ ამბავს.

— ვიცი ერთის სახელი, მამის სახელი, გვარი, დაბადების და საცხოვრებელი ადგილი. რაც მთავარია, პასპორტის ნომერი.

მოუყვა უფროსს თუ რის ფასად მოიპოვა ეს ინფორმაციები.

გულიანად გაეცინა ვახტანგიჩს..

— ბორია, შევთანხმდეთ ასე: ეს საქმე გვეცოდინება მე, შენ და ერთს, ვინაც უნდა იცოდეს. ეს უკვე შენი საქმე არ არის. ხმა და კრინტი არავისთან, არც იმ სოფლის „ჩვენებთან“. შეიძლება ისე სუფთად გასცენ ინფორმაცია, რომ სასაცილო დღეში აღმოვჩნდეთ. ხვალ, 2 საათზე მიდი მარქსის ქუჩაზე, 7 ნომერთან, იქ იდგება „ვილისი“, რომელშიც შენი წაგებული თავანი იქნება ჩადებული, ცოტა მეტიც. რა იცი, იქნებ მართლაც საინტერესო ამბავი გამოვაცხოთ. ხომ გამიგე, რა გითხარი? სასმელი ბევრი იქნება, ქალებიდან აიღე ინფორმაცია. დანარჩენს მე მივხედავ. ჩათვალე, არ შევხვედრივართ. შევხვდებით სამ დღეში ჩემთან. კითხვები გაქვს? აბა, შეხვედრამდე! -წამოდგა და ბეჭზე ხელი წაჰკრა კაპიტანს...

კაბინეტიდან გამოსულ ბორისს უხაროდა, რომ შეხვედრა ასე დასრულდა. უფრო ის გაუხარდა, თამაზ ვახტანგიჩი მის ყველა სიტყვას ბოლომდე ისრუტავდა, მის ნაზრევს ადვილად კითხულობდა. ისიც გაუხარდა, რომ უფროსსაც ეუცნაურა სერისთან და სედოისთან რუსი ქალების მალულად სტუმრობა. მიდიოდა სახლში ცოლ-შვილის მოსასიყვარულებლად და თან ხვალინდელი შეხვედრის სცენარს წერდა გონებაში.

1966 წლის 21 იანვარი იდგა...

ხუთი წუთით ადრე დანიშნულების ადგილს მიუახლოვდა. არ ჩქარობდა, არ უნდოდა ვინმეს დაენახა აქ მომლოდინე. მანქანა არ ჩანდა. გონება დაძაბა, უფროსმა ნამდვილად მარქსის ქუჩის 7 ნომერი და 2 საათი უთხრა. ორი წუთი აკლია 2 საათს. ერთ წუთში 7 ნომერთან იქნება. მტკიცე ნებისყოფის მქონეს ნერვიულობა შეეპარა, ნაბიჯი უფრო შეანელა. თოვა არ ჩერდებოდა, ქარი ფანტელებს სახეში აყრიდა. იქნებ მანქანა გაფუჭდა? როგორ შეატყობინოს ეს ამბავი მილიციის უფროსს? საათს დახედა, რამდემიმე წამში ორი საათიც შესრულდებოდა. სწორედ ამ დროს ფეხებთან გაჩერდა „ვილისი“, მძღოლმა წინა კარი გაუღო და მშვიდად უთხრა — დაბრძანდით, კაპიტანო!. თითქოს ახალმა სისხლმა გაიარა მთელ სხეულში, წინა სავარძელზე დაჯდა, კარი მოკეტა და მანქანაც დაიძრა ადგილიდან.

— ხომ არ ინერვიულეთ, კაპიტანო?

— ვაპირებდი, — გაიღიმა ბორისმა.

— ხომ იცი ვახტანგიჩის ხასიათი, არც დააგვიანო და არც ადრე მიხვიდეო, მითხრა. ვითომ მგზავრია, ისე აიყვანეო.

— ვიცი, ვიცი. პუნქტუალურიცაა და გამოცდილიც. ცოტა მომეშვა. თქვენ, გეტყობათ, მიცნობთ, მაგრამ მე რომ პირველად გხედავთ?!

— ამ ეტაპზე ასე დავრჩეთ. კიდევ შევხვდებით ერთმანეთს თუ ამის აუცილებლობა იქნება...

მძღოლმა შემდგომ საუბარს თავი აარიდა და რაც უთხრა, მხოლოდ იმიტომ, რომ მილიციის უფროსის პუნქტუალობისთვის გაესვა ხაზი, რითაც აშკარად მიანიშნა კაპიტანს, თვითონაც ასე მოქცეულიყო. გაუღიმა. სამ დღეში შეხვედრა აქვს 9 საათზე და იქ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივიდეს 7-ზე, 8-ზე და თუნდაც 9-ის ნახევარზე. იქ ზუსტად 9-ზე უნდა გამოცხადდეს. ეს უთხრა ფაქტობრივად მძღოლმა. მიხვდა კაპიტანი მისდამი მილიციის უფროსის გზავნილს, დროისთვის ეცა პატივი...

ასე გაბუტულებივით გაიარეს თოვლიანი გზა. სერის სახლს ისე მიადგნენ, ბორიას გზა არ უსწავლებია. მიხვდა კაპიტანი, რომ მარტო არ ადევნებდა თვალყურს კრიმინალებს და კიდევ ერთხელ დარწმუნდა თამაზ ვახტანგიჩის პროფესიონალიზმში.

— ოვანეს, ოვანეს! — გასძახა მანქანიდან გადმოსულმა ბორისმა.

მხოლოდ ძაღლი მოვარდა ჭიშკართან გაავებული ყეფით. მერე გაახსენდა ოვანესმა რომ უთხრა, იმ შემთხვევაში ჩამოგიშვებ ეზოში, თუ მაგ სახელს დაივიწყებ და სერის დამიძახებო.

— სერი, სერი!

ცოტა ხანში სახლის კარი გამოაღო მასპინძელმა. უცნაურად შეცვლილი ეჩვენა სტუმარს სერი, წვერგაუპარსავი, თმააბურძგნული, თვალებდაბერილი. იფიქრა, ღამენათევიაო და ყურადღება არ მიაქცია.

— სერი, წაგებული მოვიტანე. ირინა ხომ სახლშია? — პასუხს არც დაელოდა, ისე დაიწყო მანქანიდან სანოვაგის გადმოტანა. მძღოლიც მიეხმარა და ჭიშკართან მიიტანეს. მერე მძღოლმა ჯიბიდან 10-მანეთიანი ამოიღო და სერის დასანახად, კაპიტანს მიაწოდა, ხურდა აიღეთო, მალულად თვალი ჩაუკრა, მანქანაში ჩაჯდა და წავიდა.

— სერი, მომეხმარე ამდენს მარტო ვერ ჩამოვიტან.

— არაა, უფროსო, საჭირო, ოჯახში წაიღე, ცოლ-შვილთან.

— წაგებული წაგებულია!

უღიმღამოდ მივიდა სერი, ერთად ჩაიტანეს ტვირთი ეზოში, მერე სახლში შეიტანეს ისე, რომ ძაღლს ერთხელც არ დაუყეფია.

6 ბოთლი შამპანური, 4 ბოთლი არაყი, ძეხვი, პური, მჟავე კიტრი და „ბამბანერკა“.

— ეს იმაზე მეტია, რაც წააგე. ასე რატომ გაისარჯე? ვიცი, ფულიც არ გაქვს.

— უნდა იცოდნენ სტუმრებმა, რომ აქ წაგებულს ერთნაირად იხდიან მილიციელიც და კრიმინალიც. თავანი თავანია! შენ დაგაფასე, სერი, ამით უფრო გაიზრდება შენი ავტორიტეტი მაგათ თვალში.

— ჩემი ავტორიტეტი ჩემი საქმეა. ამას შენ არავინ გავალებს, უფროსო და არც არავის დაუვალებია. — მკვახედ მოუჭრა სერიმ.

დაგეზარა ცეცხლის დანთება? მოგეხმარები, გოგონები რომ ადგებიან, შესცივდებათ.

— ზედმეტად წუხდები, უფროსო, გოგონები ამ დილით ბაკურიანში წავიდნენ.

— ვინ წაიყვანა?

— სედოიმ.

— მანქანა?

— დაკითხვაზე ვარ?

— მოულოდნელი იყო, წასვლას არ აპირებდნენ, თან იცოდნენ, უნდა მოვსულიყავი.

— შენ რომ უნდა მოსულიყავი, სწორედ მაგიტომ დავაჩქარე მაგათი გამგზავრება. ჩემთან შენი ხშირი სიარული არ მაწყობს, მართალი გითხრა. ვისი მანქანით ამოხვედი?

— ტაქსი იყო. - იცრუა კაპიტანმა. მძღოლმა ხომ ხურდად 10 მანეთი დაუბრუნა და ასე უნდა ეთქვა.

(გაგრძელება იქნება)

ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის განახლებული სისტემა სრულად ფუნქციურია

ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, ახალი, ელექტრონული სისტემა (NAITS), რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია საქართველოში არსებული წვრილფეხა და მსხვილფეხა ცხოველის და მათი მფლობელების შესახებ, უკვე სრულად ფუნქციონალურია.

ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სისტემა საქართველოში 2012 წლიდან არსებობს. თუმცა, 2015 წლიდან, FAO-ს მხარდაჭერითა და შვეიცარიის განვითარების სააგენტოს (SDC) და ავსტრიის თანამშრომლობის (ADC) ფინანსური დახმარებით, სისტემა ხარისხობრივად ახალ ეტაპზე გადავიდა. განახლებული პროგრამის ფარგლებში, შექმნა ელექტრონული ბაზა, რომელიც საგენტოს ვეტერინარებს საშუალებას აძლევს, ინფორმაცია ცხოველისა და მისი მფლობელის შესახებ, ნაცვლად ქაღალდის ფორმებისა, შეიყვანონ პირდაპირ ელექტრონულ ბაზაში.

ელექტრონული სისტემა, მნიშვნელოვნად ამცირებს, როგორც ვეტერინარების შრომას, ასევე, უმოკლეს დროში უზრუნველყოფს ცხოველისა და მისგან წარმოებული პროდუქტების მიკვლევადობას. შესაბამისად, სისტემა სურსათის უვნებლობის მნიშვნელოვანი რგოლია.

NAITS განახლებული ვერსია, 2019 წელს, საპილოტედ კახეთში დაინერგა. 2019-2020 წლებში გადამზადდა და ელექტრონული პროგრამის გამოყენება შეისწავლა, სურსათის ეროვნული სააგენტოს დაქირავებულმა 600-მდე ვეტერინარმა, რომელთაგან 588 უკვე მუშაობს პროგრამაში. ასევე, ვეტერინართა დასახმარებლად ამუშავდა დამხმარე პლატფორმა (ე.წ ელპ დესკ), რომელიც ვეტერინარებს პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებზე უწევს კონსულტაციებს. სისტემას, მუდმივად ემატება და ახლდება მოდულები, რომელიც განკუთვნილია არა მხოლოდ, იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისთვის, არამედ, სასაკლაო, ლაბორატორიული და სასაზღვრო კონტროლისთვის.

NAITS პროგრამის ხელმძღვანელის მიხეილ სოხაძის განცხადებით სისტემის იმპლემენტაცია, საქართველოს საშუალებას მისცემს უფრო მეტად განავითაროს ვაჭრობა ევროკავშირთან.

„NAITS პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყო, როგორც ევროკავშირის წევრი, ასევე, კანდიდატი ქვეყნების გამოცდილება. პროექტზე მუშაობდნენ, საფრანგეთის, შვეიცარიის ბრიტანეთის ექსპერტები, ასევე იმ ქვეყნების პროფესიონალები, რომელთა გამოცდილება მეტად მიახლოებულია საქართველოსთან, ასე მაგალითად: ჩრდილოეთ მაკედონია და ბალტიისპირეთი. განახლებული სისტემა სრულ თანხვედრაშია ევროკავშირის მოთხოვნებთან“ - განაცხადა სოხაძემ.

საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანაა, რომელმაც ამ სისტემის დანერგვა შეძლო და იგი, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების (DCFTA) ნაწილია.

იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სისტემისთვის სახელმწიფო ყოველწლიურად 2 მილიონ ლარს ხარჯავს, თავად იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და ვაქცინაციის სერვისი, ისევე როგორც ვეტერინარის მომსახურება, სრულიად უფასოა ფერმერებისთვის. დასრულებული პროგრამის სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის გადაცემა 2021 წლის ბოლოსთვის იგეგმება.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, მოგვმართოთ:

კომუნიკაციების ოფიცერი - ნინო თოფურიძე;

ტელ: 599 468 999;

ელ. ფოსტა: nino.topuridze@fao.org

სკანვორდი



პასუხები:

ანდრეკლიერი: ეიფელი — ანდერსენი; ტოკი; ალი — ალიოშა; ალიოშა — ალეა; ალეა — ალენი; ალენი — ალიოშა; ალიოშა — ალი; ალი

სოფლის მეურნეობა საქართველოში

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით



1909 წელს ქუთაისში ერობის შემოღების საკითხთან დაკავშირებით გამართული თათბირის მასალებში ვკითხულობთ: "მცირემიწიანობისა და გუბერნიის ტერიტორიის დიდი ნაწილის მთაგორიანობის გამო, რაც ესოდენ არახელსაყრელია მოწათმოქმედების განვითარებისათვის, მოსახლეობა განწირულია საშოვარზე გასვლისა და მოხეტიალე ცხოვრებისათვის. სვანეთის, რაჭის, ლეჩხუმის, გურიის, სამეგრელოს და ზემო იმერეთის თითქმის მთელი მოსახლეობა წლის უმეტეს ნაწილს ატარებს არა მხოლოდ თავიანთი სოფლების, არამედ გუბერნიის გარეთაც."

გლეხობის საშოვარზე გასვლა განსაკუთრებით მატულობდა მოუსავლიანობის წლებში. მოუსავლიანობას იწვევდა: გვალვა, ხშირი და ზომაზე მეტი წვიმა, სეტყვა, კალიისა და მღრღნელების მომრავლება, ფილოქსერა და სხვ. თითქმის მთელ სამხრეთ კავკასიაში მოუსავლიანობა პერიოდულად მეორდებოდა, კერძოდ, მოუსავლიანი იყო: 1889–1893, 1897–1898, 1902 –1903, 1906–1907, 1909–1913 წლები. 1897 წლის მოუსავლიანობამ გაუსაძლისი პირობები შექმნა საქართველოს სოფლებში როგორც თბილისის, ისე ქუთაისის გუბერნიაში. 1997-1998 წლების ოფიციალურ მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ სოფლის მეურნეობა უაღრესად კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდა. 1897–1898 წლებში მოუსავლიანობა მთელ რუსეთში აღინიშნა, მომდევნო 1899–1900 წლებიც ნაკლებად მოსავლიანი იყო, რაც უარყოფითად აისახა საქართველოზე.

1897 წლის მოუსავლიანობამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო კახეთი. მთელ რიგ სოფლებში უკვე ოქტომბერშივე შემოელიათ ხორბალი, სოფლების ნაწილს ხორბალი მხოლოდ იანვრამდე ეყო, მხოლოდ მცირე ნაწილს – აპრილამდე. აპრილში უკვე მთელი გლეხობა ყიდულობდა პურს. პურის შესასყიდი თანხის შეგროვების მიზნით მოსახლეობა საოჯახო ნივთებს აგირავებდა, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა თბილისის გუბერნიის გორის მაზრა, სადაც გლეხობამ პურის შესასყიდი ფულის შესაგროვებლად ხარ-კამეჩის გაყიდვა დაიწყო. იმერეთში ძალზე გაძვირდა სიმინდი, აქაც აღინიშნა საოჯახო ნივთებისა და მსხვილფეხა შინაური პირუტყვის გაყიდვის შემთხვევები.

მცირემიწიანობა. XX საუკუნის დამდეგიდან მცირემიწიანობის გამო მოსახლეობის სოფლებიდან საშოვარზე გასვლამ მასობრივი ხასიათი მიიღო. 1894–1904 წლებში ქალაქებს მასობრივად მიაწყდა სოფლიდან გასული გლეხობა. ეს პროცესი განსაკუთრებით მასობრივი იყო რაჭ-ასა და ლეჩხუმში, ასევე – გურიაში. სოფლიდან გასულების უმრავლესობას პროფესია არ ჰქონდა, ამიტომ უმეტესად შავ მუშებად მუშაობდნენ. გურია-სამეგრელოდან მოსახლეობა ძირითადად ბათუმსა და ფოთში მიდიოდა. გლეხობის ნაწილი თბილისში ეძიებდა სარჩო-საბადებელს. მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. 1913 წელს შედგენილ ოფიციალურ მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ მცირემიწიანობის გამო სოფლებიდან გასული გლეხობის ფულადი შემოსავლის მთავარ წყაროს ქალაქში მიღებული ხელფასი წარმოადგენდა. იგივე მდგომარეობა იყო თბილისის გუბერნიაშიც.

მცირემიწიანი გლეხების ნაწილი სამუშაოს ისევ სოფლად, ან თავისსავე სოფელში, ან სხვა სოფელში, პოულობდა. სოფლად დაქირავებული შრომა გაცილებით იაფი ღირდა, ვიდრე ქალაქად. მოვიყვანთ სტატისტიკურ მასალას, რომელიც სოფლად დაქირავებული მუშის ხელფასის საშუალო წლიურ რაოდენობას გვიჩვენებს:

1. თბილისის გუბერნია. 1900 წელს მუშა მამაკაცი წლიურად 59 მანეთს იღებდა, ქალი – 57 მანეთს, მოზარდი – 18 მანეთს; 1905 წელს მუშა მამაკაცი – 72 მანეთს, ქალი – 27 მანეთს, მოზარდი – 25 მანეთს; 1910 წელს მუშა მამაკაცი წლიურად 91 მანეთს იღებდა, ქალი – 48 მანეთს, მოზარდი –33 მანეთს;

2. ქუთაისის გუბერნია. 1900 წელს მუშა მამაკაცი წლიურად 67 მანეთს იღებდა, ქალი – 25 მანეთს, მოზარდი – 27 მანეთს; 1905 წელს მუშა მამაკაცი – 84 მანეთს, ქალი – 34 მანეთს, მოზარდი – 35 მანეთს; 1910 წელს მუშა მამაკაცი წლიურად 112 მანეთს იღებდა, მუშა ქალი – 46 მანეთს, მოზარდი –47 მანეთს;

3. სოხუმის ოკრუგი. 1900 წელს მუშა მამაკაცი წლიურად 69 მანეთს გამოიმუშავებდა, ქალი – 55 მანეთს, მოზარდი – 37 მანეთს; 1905 წელს მუშა მამაკაცი – 94 მანეთს, ქალი – 64 მანეთს, მოზარდი – 48 მანეთს; 1910 წელს მუშა მამაკაცს წლიურად 123 მანეთი ეძლეოდა, ქალს – 88 მანეთი, მოზარდს –71 მანეთი;

4. ბათუმის ოლქი. 1900 წლისათვის ბათუმის ოლქის მონაცემები შემონახული არ არის; 1905 წელს ბათუმის ოლქში მუშა მამაკაცი წლიურად 102 მანეთს იღებდა; 1910 წლს მუშა მამაკაცი – 143 მანეთს, ქალი – 40 მანეთს, ხოლო მოზარდი – 35 მანეთს.

XX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოს სოფლებში სამუდამოდ გაქრა ნატურალური მეურნობის ეპოქისათვის დამახასიათებელი თვითკმარობა. გლეხობა იძულებული გახდა, შემოსავლის სხვა წყარო ეძებნა. არსებობის წყაროს მოძიების გარეშე კრიზისს თავს ვერც თავადაზნაურობა დააღწევდა.

2. სავაჭრო მიწათმოქმედება. XX საუკუნის დამდეგიდან ვიდრე პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე(1914 წ.) საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი იყო მიწათმოქმედების უმეტესი დარგების მოსავლიანობის ზრდა და სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაციის გაღრმავება.

XX საუკუნის დამდეგიდან თანდათან იზრდებოდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა. რუსეთის იმპერიის მანქანათმშენებლობა ვერ აკმაყოფილებდა ქვეყნის შინაგან მოთხოვნილებას, რის გამოც თანდათან იზრდებოდა მანქანა-იარაღების იმპორტი. 1900 წელს საქართველოში უცხოეთიდან შემოტანილი მანქანა-იარაღების საერთო წონა 19.170 ფუთს უდრიდა. 1902 წელს – 15.706 ფუთს, 1903 წელს – 39.715 ფუთს. შემოტანილი მანქანა-იარაღების 70% წვრილი ინვენტარი (წერაქვი, ცული, ბარი, ცელი და სხვ.) იყო, 30% კი – გუთნები და სხვადასხვა სახის მანქანა. მომდევნო წლებში მანქანა-იარაღების იმპორტმა იმატა. 1911 წელს რუსეთიდან და უცხოეთიდან სამხრეთ კავკასიაში რკინიგზით შემოვიდა მანქანა-იარაღები, რომელთა საერთო წონა 179.900 ფუთს შეადგენდა, 1912 წელს – 225.897 ფუთს, 1913 წელს – 227.584 ფუთს. შემოტანილი მანქანა-იარაღების 40% საქართველოში რჩებოდა. სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მოწოდებით დიდ მოგებას პოულობდნენ **დრეევაცსკის, აუფერმანის, ეკსელბირტის, პივოვაროვის, უტცის, კესერის, აკოფოვის, შადინოვის, ჩიჩკინის, ბახტამიანცის** და სხვათა ფირმები. ფირმები ყველაზე მეტ შეკვეთას გუთნებზე ღებუ-ლობდნენ. საკმაო რაოდენობით იყი-დებოდა აგრეთვე სათესი, სამკელი, სალეწი,სათიბი, სანიავებელი და სხვა მანქანები, ვენახის შესაწამლი აპარ-ატები, რძის პროდუქტების დამამ-ზადებელი ინვენტარი და სხვ.

მარცვლეული კულტურები. მარცვლეული კულტურების ხვედრითი წილი საქართველოს სოფლის მეურნეობაში თანდათან მცირდებოდა, თუმცა 1900–1914 წლებში, წარმოებული პროდუქციის ღირებულების მიხედვით, მას კვლავ პირველი ადგილი ეკავა. მოვიყვანთ 1909–1913 წლების სტატისტიკურ მასალას, რომელიც ნათელ წარმოდგენას ქმნის მარცვლეული მეურნეობის მასშტაბსა და საშუალო წლიურ შემოსავალზე:

1. ხორბალი. ნათესების საერთო რაოდენობა – 245.000 დესეტინა, მოსავლის რაოდენობა 1 დესეტინაზე – 96 ფუთი; მთელი მოსავალი – 11.943.000 ფუთი, მთელი შემოსავალი – 10.749.400 მანეთი;

2. ქერი. ნათესების საერთო რაოდენობა – 99.300 დესეტინა, მოსავლის რაოდენობა 1 დესეტინაზე – 63 ფუთი; მთელი მოსავალი – 6.255.900 ფუთი, მთელი შემოსავალი – 3.440.700 მანეთი;

3. ჭვავი. ნათესების საერთო რაოდენობა – 3.600 დესეტინა, მოსავლის რაოდენობა 1 დესეტინაზე – 61,7 ფუთი; მთელი მოსავალი – 186.000 ფუთი, მთელი შემოსავალი – 111.700 მანეთი;

4. შვრია. ნათესების საერთო რაოდენობა – 900 დესეტინა, მოსავლის რაოდენობა 1 დესეტინაზე – 44,1 ფუთი; მთელი მოსავალი – 39.700 ფუთი, მთელი შემოსავალი – 31.800 მანეთი;

5. სიმინდი. ნათესების საერთო რაოდენობა – 350.600 დესეტინა, მოსავლის რაოდენობა 1 დესეტინაზე – 80 ფუთი; მთელი მოსავალი – 28.048.000 ფუთი, მთელი შემოსავალი – 11.219.200 მანეთი;

6. ფეტვი და ღომი. ნათესების საერთო რაოდენობა – 5.100 დესეტინა, მოსავლის რაოდენობა 1 დესეტინაზე – 36.1 ფუთი; მთელი მოსავალი – 186.700 ფუთი, მთელი შემოსავალი – 93.400 მანეთი;

7. ლობიო.ითესებოდა სიმინდთან ერთად, მთელი მოსავალი – 200.000 ფუთი, მთელი შემოსავალი – 1.300.000 მანეთი;

სულ საქართველოში 1900-1913 წლებში ნათესებს 708.200 დესეტინა ეკავა. მთელი მოსავალი 48.891.200 ფუთს შეადგენდა, რომლის საერთო ღირებულება 26.436.900 მანეთს უდრიდა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოდან მარცვლეული გაცილებით დიდი რაოდენობით გაჰქონდათ, ვიდრე შემოჰქონდათ, XX საუკუნის დამდეგიდან ვითარება არსებითად შეიცვალა, რაზეც კარგად მეტყველებს 1909-1913 წლების საშუალო წლიური სტატისტიკა:

1. ხორბალი. გაიტანეს 113.073 ფუთი ხორბალი, შემოიტანეს – 74.294 ფუთი;

2. ჭვავი. გაიტანეს 2.148 ფუ-თი, შემოიტანეს – 381.945 ფუთი;

3. ქერი.გაიტანეს 26.605 ფუთი, შემოიტანეს – 906.789 ფუთი;

4. შვრია. გაიტანეს 16.817 ფუთი, შემოიტანეს – 203.703 ფუთი;

5. სიმინდი. გაიტანეს 5.312.890 ფუთი, შემოიტანეს – 887.056 ფუთი;

6. დანარჩენი მარცვლეული. გაიტანეს –64.343 ფუთი, შემოიტანეს 67.330 ფუთი;

მარცვლეულის გარდა, საქართველოდან გაჰქონდათ და შემოჰქონდათ ხორბლის, ჭვავის, სიმინდის ფქვილი. 1909–1913 წლებში საქართველოდან გაიტანეს 535.673 ფუთი ყველა სახის ფქვილი, შემოიტანეს – 6.362.186 ფუთი.

მევენახეობა-მეღვინეობა. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე სოკოვან დაავადებათა და ფილოქსერათა გავრცელების გამო საგრძნობლად დაზარალდა მევენახეობა-მეღვინეობა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა იმერეთი. XIX საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე ქუთაისის გუბერნიაში ვენახის საერთო ფართობი 30.000 დესეტინას აღწევდა, 1902 წლისათვის კი 12.000–14.000 დესეტინამდე შემცირდა. იმთავითვე დაიწყო ქართული ვაზის გადარჩენისათვის ბრძოლა. ქართულ ვაზს ამერიკულ საძირეზე ამყნიდნენ, რომელსაც სოკო და ფილოქსერა ზიანს ვერ აყენებდა. ფილოქსერით დაავადებული ვენახი მთლიანად ახალი ნამყენით შეიცვალა. 1908 წლისათვის განახლებული ვენახის ფართობი უდრიდა: ქუთაისის მაზრაში – 4.389 დესეტინას, შოროპნის მაზრაში – 6.100 დესეტინას, სენაკის მაზრაში – 250 დესეტინას, ზუგდიდის მაზრაში – 26 დესეტინას, **ოზურგეთის მაზრაში** – 150 დესეტინას, რაჭის მაზრაში – 50 დესეტინას, ლეჩხუმის მაზრაში 35 დესეტინას. ვენახის განახლება შემდეგ წლებშიც გაგრძელდა.

1901 წელს კავკასიის საიუბილეო გამოფენაზე წარმოდგენილი მასალების მიხედვით, სპეციალისტები ასკვნიდნენ, რომ მეღვინეობას "უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში არავითარი წარმატება არ ჰქონია." მეღვინეობამ დიდხანს შეინარჩუნა შინამრეწველური ხასიათი. ამიერკავკასიაში სულ რამდენიმე მეურნეობა იყო, სადაც მეღვინეობას ქარხნული ხასიათი ჰქონდა. ასეთი მამულები იყო: **საუფლისწულო უწყების მამულები** (სოფელ წინანდალში), **შერემეტიევის, ჯანდიერის, ფორერის, გუმელის, პლემიანიკოვის**(ყოფილი გორჩაკოვის), **ანანოვის, ოლდენბურგის, გოლიცინის, ცინცაძის, ტიებოს, სოფელ საქარის სანერგის, ბაგრატიონ-მუხრანსკის** და კიდევ ორიოდე მემამულის მეღვინეობის მეურნეობები.

საქართველოს გარდა, მევენახეობა-მეღვინეობა განვითარებული იყო აზერბაიჯანსა და სომხეთში. 1909 წელს მთელ სამხრეთ კავკასიაში ღვინის წლიური მოსავლის 65,6% საქართველოზე მოდიოდა, 21,2% – აზერბაიჯანზე, 13,2% – სომხეთზე. 1913 წლისათვის საქართველოს ხვედრითი წილი შემცირდა და მან 59,4% შეადგინა. აზერბაიჯანის წილი იგივე დარჩა – 21,2%, სომხეთისა კი გაიზარდა – 19,4%.

1909 წელს თბილისის გუბერნიაში 3.367.200 ვედრო ღვინო მოიწიეს, რომელიც გუბერნიის მაზრებზე ასე ნაწილდებოდა:

1. ახალქალაქის მაზრაში – 1500 ვედრო,
2. ახალციხის მაზრაში –0 ვედრო,
3. დუშეთის მაზრაში –179.800 ვედრო,
4. გორის მაზრაში – 496.300 ვედრო,
5. თბილისის მაზრაში – 285.300 ვედრო,
6. ბორჩალოს მაზრაში – 556.900 ვედრო,
7. სიღნაღის მაზრაში –797.300 ვედრო,
8. თელავის მაზრაში – 1.030.900 ვედრო,
9. თიანეთის მაზრაში –69.200 ვედრო;

1912 წელს თბილისის გუბერნიაში 2.394.200 ვედრო ღვინო მოიწიეს, რომელიც გუბერნიის მაზრებზე ასე ნაწილდებოდა:

1. ახალქალაქის მაზრაში – 100 ვედრო,
2. ახალციხის მაზრაში –0 ვედრო,
3. დუშეთის მაზრაში – 161.000 ვედრო,
4. გორის მაზრაში – 168.600 ვედრო,
5. თბილისის მაზრაში – 209.200 ვედრო,
6. ბორჩალოს მაზრაში –330.600 ვედრო,
7. სიღნაღის მაზრაში –5.130.000 ვედრო,
8. თელავის მაზრაში – 955.600 ვედრო,
9. თიანეთის მაზრაში – 56.100 ვედრო;

(გაგრძელება იქნება)

ვასტანგ გურული

(საქართველოს ახალი ისტორია, წიგნი 3, გვ. 125-128)

ებრაული მიგრაციის ადრეული ეტაპები ქართლში (იბერიაში)

(„ნათესავით ჰურიანი“ და „ჰურიანი ქართველნი“)

ლადო ჭელიძე, იცხაკ დავიდი

საკუთარი სამშობლო. ემიგრირებულმა იუდეველებმა გაიარეს სირია, კაპადოკია, არმენია და ბოლოს მივიდნენ სამხრეთ კავკასიაში მდებარე ქართლის სამეფოში, სადაც ისინი დასახლდნენ ამ სამეფოს პირველი პირების მხარდაჭერითა და ადგილობრივ მკვიდრთა თანადგომით. მათ ძლიერ საპროტესტო და მედგარ საბრძოლო განწყობილებას მხოლოდ ქართველი ისტორიკოსის პირდაპირი მინიშნება ადასტურებს (“მოვიდეს ნათესავმი მ ბ რ ძ ო ლ ნ ი”). ახალ სამკვიდრო ქვეყანას მათ უწოდეს იბერია, რაც ებრაულ ენაზე ნიშნავს- „მთის გადაღმა მდებარე მხარე”. ეს სახელწოდება შემდგომ გადაიღეს ბერძნებმა, რომაელებმა და სხვა ხალხებმა.

იბერიაში გადასული იუდეველების მიერ დაწყებული წინააღმდეგობის მოძრაობა რამდენიმე წლის შემდეგ უფრო მეტი შემართებით გაგრძელდა. კერძოდ, დაიწყო მაკაბელთა სახელოვანი ავჯანყება, რომლის შედეგად მიღწეული იქნა ებრაელი ერის ისტორიაში ერთერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება.

აღსანიშნავია, რომ ერთი საუკუნის შემდგომ ებრაელთა ნაწილი კვლავაც იძულებული გახდა იუდეადან იბერიაში გადასახლებულიყო. მიგრაციის მორიგი ეტაპი უკავშირდება რომაელთა მხედართმთავრის გნეუს პომპეუსის ლაშქრობებს. კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში საბრძოლო მოქმედებების შემდგომ, კერძოდ, ძვ. წ. 63 წელს, ის შეიჭრა იუდეაში და დაიპყრო იერუსალიმი. აქ ბრძოლა მიმდინარეობდა ორ ძმასა(ჰირკანსა და არისტობულეს) და მათ მომხრეებს- ფარისევლებსა და სადუკეველებს შორის. პომპეუსმა მხარი ფარისევლებს დაუჭირა. იუდეაში დაიწყო სადუკეველთა არნახული დევნა. სწორედ ამ პერიოდში ხდება ებრაელთა ხელახალი დამკვიდრება ქართლში, კერძოდ, მცხეთასა და მის მიმდებარე მხარეებში მათი დასახლება, სადაც მიგრანტებმა მიიტანეს მაკაბელთა ეპოქაში დაწესებული რელიგიური დღესასწაული ხანუქა. ამით მათ კიდევ უფრო მეტად განამტკიცეს თავიანთი ეროვნული და რელიგიური ტრადიციები, რამაც განაპირობა საუკუნეების მანძილზე საკუთარი ეთნორელიგიური იდენტობის შენარჩუნება. ებრაელთა ქართლში მოსვლის ამ მეორე ფაქტის შესახებ „მოქცევა? ქართლისა?“ გადმოგვცემს, რომ ქართლში ორმეფობის პირველი წყვილის - ქარძამისა და ბრატმანის მმართველობის დროს „ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს“.

საჭიროა, დადგინდეს ქარძამისა და ბრატმანის მოღვაწეობის დრო.

მოვსეს ხორეცანი „სომხეთის ისტორიაში“ მოიხსენიებს ქართლის მეფე ქარძამს, რომელმაც დაატყვევა სომეხი უფლისწული ზარეჰი და „კავკასიის მთაზე ციხეში ჩასვა“.

მკვლევართა მიერ გარკვეულია, რომ ხორენაცის „ისტორიის“ ის მონაკვეთი, რომელშიც ქარძამიცაა მოხსენიებული, კონკრეტულად ტიგრანII-ის(ძვ. წ. 95-55 წწ.) მეფობის ხანას ასახავს. მეორეს მხრივ, რადგან ძვ.წ. 65 წლისათვის ბერძნულ-რომაული წყაროების(აპიანე, დიონ კასიოსი და სხვ.) მონაცემებით ქართლის მეფეა არტოკი(არტაგი), მაშინ ქარძამის გამეფების ხანა დაახლოებით65-55 წლებზე მოვა.სწორედ აღნიშნულ ხანებში(ძვ. წ. 63 წელს) რომაელთა სარდალი პომპეუსი სირიიდან დაიძრა პალესტინისკენ, დაიპყრო იუდეის სამეფო და იუდეა რომის პროვინციად გადააქცია.

დასკვნა

როგორც ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლებში შემორჩენილი გადმოცემები მოგვითხრობს, ებრაელები ანუ „ნათესავით ჰურიანი“ („ნათესავით“ ძველ ქართულში ნიშნავს - წარმოშობით, წარმომავლობით, ე. ი. ეროვნებით) ქართლში მოსულან და დამკვიდრებულან ძვ. წ. Iი (ძვ. წ. 169 წელს) დაI (ძვ. წ. 63 წელს) საუკუნეებში, რომლებსაც, ამ საისტორიო წყაროების მიხედვით, შემდგომ ეწოდათ „ჰურიანი ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი“

ლადო ჭელიძე
პროფესორი

ჩაფხუტი დაიხურეთ და ისე თქვით „ჩამოხსენი“

არ ჰგავს მთლად სირცხვილისგან გაწითლებულს, რადგან პარტიას, რომელსაც ეს კომპლექსური პლაკატ-ბილბორდი ეკუთვნის, სამწუხაროდ, დასაბამიდან არ გააჩნდა და არ გააჩნია სირცხვილის გრძნობა. რაც არ დაჰყოლია, როგორ უნდა გააჩნდეს?! ახლა ამ პარტიის წარმომადგენლებსა და მათ თავგადაკლულ მხარდამჭერებს რომ ვინმემ შეკადროს, არჩევნები ერთი თვეა დამთავრდა, ისევ ჩაისვარეთ და ჩამოხსენითო, მთლიან კომპლექსს თავზე დაახვავებენ იმ ბანკიანად, რომელიც 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში მაგათ ტყვეობაშია. ამიტომ ერიდებიან და შიშობენ კიდეც ოზურგეთელები, განსაკუთრებით ისინი, ვინც ტანკისტები არ ყოფილან ომამდე და ომის შემდეგაც. ვხვდებით, რატომაც არ ხსნიან თუ შლიან – გაზაფხულისთვის რიგგა-რეშე არჩევნებს ელოდებიან. იცით, რა გვიკვირს, რომც სასწაული მოხდეს და ჩატარდეს, იმას რატომ ვერ ხვდებიან, რომ უარესად ჩაისვრიან?!

რატომ და როდემდე უნდა ისუნთქოს ხალხმა მაგათი გაფუჭებული ჰაერი?!

– სანამდე გაუყალბებელ არჩე-ვნებს არ ჩაატარებენო, – ასე „ჟელეზნად“ ჟღერს პასუხი. და ასეთი არჩევნები იცით, რომელი ყოფილა? – მიშა რომ ატარებდა და იგებდა თურმე.

ენმ იმ ბავშვივითაა, რომ ტირის და გასდის. არ ჩამოხსნის! ერთბაშად ყურებზე ხახვი არ დააჭრან.

და თუ ვინმე მაინცაპირებთ ამ ბილბორდთან ჩავლას მოთხოვნით „ჩამოხსენი, ჩამოხსენი“, ჩაფხუტი დაიხურეთ, ჩაფხუტი და ისე თქვით სათქმელი, ხომ იცით, მარცხი ელანძეა.

არა, ამ ჩემპიონი კაცის პორტ-რეტს მაინც რას ერჩიან, გაზაფხულამდე ქარა-შოტებს ხომ არ უნდა დაგლეჯინონ? არ იმსახურებს ასეთ რამეს ეს ღირსეული ოზურგეთელი კაცი.

50 000 ლარი ახალგაზრდული ინიციატივების მხარდასაჭერად – ოზურგეთის მუნიციპალიტეტი კონკურსს აცხადებს!

ახალგაზრდული იდეების მხარდაჭერის მიზნით, ოზურგეთის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ ინიციატივითა და მერიის მხარდაჭერით, „თვითმმართველობა განათლებისათვის“ და „ახალგაზრდების თვითგამოხატვის უფლების მხარდაჭერა თვითმმართველობაში“ პროგრამის ფარგლებში, კონკურსი გამოცხადდა.

პროგრამის ბიუჯეტი: 50 000 ლარი.

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 12-დან 29 წლის ჩათვლით ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი იდეების/პროექტების დაფინანსება ან/და თანადაფინანსება, რომლის შედეგად მოხდება თვითმმართველობის საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვა და მათი სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლება.

გამოცხადებული კონკურსის ვადები:

I ეტაპი: პროექტების მიღება ელექტრონული ან/და ფიზიკური ფორმით მიმდინარე წლის 27 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე ელექტრონულ მისამართზე:

meriaozurgeti2018@gmail.com

ოზურგეტი.საკრებულო გმაილ.ცომ ან მატერიალური სახით მის: ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ 1, ადმინისტრაციის შენობა.

II ეტაპი: მიღებული პროექტების კონკურსის მიზნებთან შესაბამისობის დადგენა -11.12. 2020 – 16.12. 2020

III ეტაპი: სამუშაო ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების მიღება (გამარჯვებული პროექტების გამოვლენა/გამოცხადება) – 17.12.2020

IVეტაპი: გამარჯვებული პროექტების განხორციელება

პრიორიტეტების დასახელება:

კულტურა; რელიგია; ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა შეავსონ საიაპლიკაციო ფორმა, რომელიც განთავსებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ- გვერდზე: პროექტის ფორმა (გადადით ვებ გვერდზე http://ozurgeti.mun.gov.ge/?p=4720)

ინიციატივის ფარგლებში ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა/რეალიზებას, შესაძლებელი გახდება ახალგაზრდებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლობის გაძლიერება. პროგრამას ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკასთან პარტნიორობით, ახორციელებს.

7 დღის ამინდის პროგნოზი

წვიმა, +2+6	მზე, ღრუბელი +3+11	წვიმა, 0+6	წვიმა, +3+6	მზე, +3+8	წვიმა, +3+8	წვიმა, +3+8
23 ნოემბერი	24 ნოემბერი	25 ნოემბერი	26 ნოემბერი	27 ნოემბერი	28 ნოემბერი	29 ნოემბერი
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა